საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/95

ქ. ბათუმი 18 მაისი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წლის შემოდგომისათვის მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, ,,2023 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 მაისის N533520 ბრძანების, ,,2023 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 მაისის N531335 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 18 მაისის N559600 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება წინამდებარე ბრძანების N1 დანართით გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წლის შემოდგომისათვის;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაცია განხორციელდეს **2023 წლის 22 მაისიდან 10 სექტემბრის ჩათვლით,** ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge/ ან/და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერით შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, III სართული, ოთახი N310 (ცხელი ხაზი: 591 95 76 62).
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წლის შემოდგომისათვის მიღების გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 მაისის N 01-02/95 ბრძანების

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც ცხადდება მიღება 2023 წლის შემოდგომისათვის (სწავლა დაიწყება 15 ნოემბერს)

	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		ადგილების რაოდენობა	მათ შორის ადგილების რაოდენობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის
		ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	საფინანსო სერვისები (III დონე, მოდულური)	51	66	8	11	30	3
2	ბუღალტრული აღრიცხვა (V დონე, მოდულური)	99	129	22	27	20	2
3	სატყეო საქმე (IV დონე, მოდულური)	48	78	10	15	20	2
4	მებაღეობა (IV დონე, მოდულური)	85	115	15	20	20	2
5	საბიბლიოთეკო საქმე (IV დონე, მოდულური)	94	124	16	21	20	2
6	საექთნო განათლება (V დონე, კოოპერაციული)	180	210	31	37	14	2
7	აღმზრდელი (V დონე, კოოპერაციული)	116	146	24	29	20	2
	სულ:					144	15